




გაკვეთილის გეგმები და დამხმარე რესურსები

მოქალაქეობრივი კომპეტენცია წარმოადგენს ადამიანის უნარს, როგორც პასუხისმგებელიანი მოქალაქე სრულყოფილად ჩაერთოს სახელმწიფოს საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტისა და სტრუქტურის, ასევე, გლობალური მოვლენებისა და მდგრადობის გათვალისწინებით.

საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის

შესავალი

ევროკავშირის მიერ შემუშავებულ საკვანძო კომპეტენციებში, რომლებიც განკუთვნილია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის, მოქალაქეობრივი კომპეტენცია განმარტებულია როგორც ადამიანის უნარი, კავშირი დაამყაროს გარესამყაროსთან ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე. სამოქალაქო განათლება მიზნად ისახავს:

- სამართლიანობის, თანასწორობისა და მდგრადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას;
- კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნართა განვითარების ხელშეწყობას;
- პასუხისმგებლიანი და კონსტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას;
- მოსწავლეებში კონსტრუქციული ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარებას;
- შემოქმედებითობისა და ინოვაციების მიმართ პოზიტიური მიდგომის ჩამოყალიბების მხარდაჭერას.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს მრავალმხრივ შესაძლებლობას აძლევს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერებისა და განათლების დონის ასამაღლებლად.

- სამოქალაქო განათლების გაკვეთილებში ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ინტეგრირების შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია როგორც საკუთარი, ისე სხვების შემოქმედების დაფასება პიროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე;
- საკუთარი შემოქმედების დაფასებითა და მისი მნიშვნელობის გააზრებით მოსწავლეები სხვების შემოქმედების დაფასებასაც ისწავლიან;
- სამოქალაქო განათლების პროექტებში აქტიური ჩართულობით მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რაოდენ დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ გარესამყაროზე ინოვაციებით, გამოგონებებითა და შემოქმედებითი გადაწყვეტებით;
- შემოქმედებითი აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები გამოგონების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს. როდესაც მოსწავლეები წარმოიდგენენ, რამხელა გავლენას ახდენენ გამომგონებლები საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებაზე, ისინი გააცნობიერებენ ინტელექტუალური საკუთრების როლს, როგორც შემოქმედებითობის, ინოვაციურობისა და მეწარმეობის განვითარების მამოძრავებელ ძალას.



ზოგადი მიმოხილვა

ასაკობრივი კატეგორია: 9-11 წელი

მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს, ერთმანეთს უკავშირებენ, იკვლევენ ადგილობრივ და გლობალურ გამოწვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თვალსაზრისს. შემდეგ იწყებენ აქტიური მოქალაქეობის შესახებ პროექტის მომზადებას, რომელიც მიზნად ისახავს მათი გარემოს გაუმჯობესებას (იგულისხმება სახლი, სკოლა და ა.შ.). რაც შეეხება პროექტის თემატიკას, ეს შეიძლება იყოს მოსწავლისთვის საინტერესო ნებისმიერი ისეთი რამ, რის მოგვარება-გაუმჯობესებაშიც სიამოვნებით შეიტანდა წვლილს.

თემატიკა: მდგრადობა, სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნება, გენდერული თანასწორობა, მშვიდობა და არაძალადობრივი თანაცხოვრება.

ასევე შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი პროექტის მიზანი დაუკავშირონ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, რომლებიც 2030 წლამდე უნდა შესრულდეს.

მდგრადი
განვითარების

მიზნები



ეტაპი	ხანგრძლივობა	ძირითადი ფოკუსი
1. კავშირების დამყარება	2 გაკვეთილი	ცნობიერების ამაღლება; ჯგუფების ჩამოყალიბება; თემის არჩევა.
2. აქტიური მოქალაქეები	3-4 გაკვეთილი	კვლევა; პროექტის დაგეგმვა; პროექტზე მუშაობა.
3. გაგრძელება	2 გაკვეთილი	პრეზენტაცია; რეფლექსია; შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

გაწვეთილების გეგმა

ეტაპი 1: კავშირების დამყარება

აქტივობა 1 იპოვე ის, ვინც...	ცნობიერების ამაღლება; ჯგუფებად დაყოფა.	მოსწავლეები ერთმანეთთან საუბრობენ და ავსებენ სამუშაო ფურცელს, რომელიც მათ ცხოვრებაზე გლობალური საკითხების გავლენას ეხება.
აქტივობა 2 გამოწვევების თოკი	თვალსაზრისთა დადგენა; სხვების პოზიციის მშვიდად მოსმენა, განსხვავებულ მოსაზრებათა პატივისცემა.	მოსწავლეები აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს საკვანძო გამოწვევების შესახებ და უსმენენ სხვებსაც. ამ პროცესში შეიძლება პოზიციის შეცვლაც კი მოისურვონ.
აქტივობა 3 მოლაპარაკე სურათები	კითხვების დასმის მეშვეობით საკვანძო გამოწვევების იდენტიფიცირება; საავტორო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.	საკვანძო გამოწვევის ამსახველი ფოტოების საშუალებით მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების წარმოჩენა. მოსწავლეები იღებენ და აგროვებენ მათ მიერ შერჩეული პრობლემის ამსახველ ფოტოებს, რომლებსაც მოგვიანებით პრეზენტაციის სახით წარუდგენენ კლასს. ამ ეტაპზე მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო პრობლემას და ჯგუფებში ნაწილდებიან.
აქტივობა 4 კითხვების რუკა	კავშირების დამყარება; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.	ჯგუფებად დაყოფილი მოსწავლეები ამზადებენ პოსტერებს და იკვლევენ მათ მიერ არჩეული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, შედეგებსა და გადაჭრის შესაძლო გზებს.

ეტაპი 2: აქტიური მოქალაქეები

აქტივობა 5 სამყაროს ამბები	გლობალური ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღება; მოქმედებისკენ ბიძგი; პატიენტების შესახებ ცნობიერების ამაღლება.	მოსწავლეები კითხულობენ/უყურებენ ვიდეოს იმ პროექტების შესახებ, რომლებიც სხვა ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ არის განხორციელებული.
აქტივობა 6 ინტერნეტმა- ძიებლები	ონლაინკვლევა; წყაროების მითითება; სასაქონლო ნიშნებისა და პატიენტის შესახებ ინფორმაციის მიღება.	მოსწავლეები ინტერნეტის მეშვეობით იძიებენ ინფორმაციას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ოპერირებენ. კვლევის შედეგად მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით ამზადებენ თავიანთ ლოგოს.
აქტივობა 7.1 სამოქმედო გეგმა	პრობლემის გადაჭრა; აქტიური მოქალაქის როლის მორგება.	მოსწავლეები ირჩევენ პროექტს, აანალიზებენ და გეგმავენ შესასრულებელ სამუშაოებს და ჯგუფის წევრებზე ანაწილებენ დავალებებს.
აქტივობა 7.2 მოქმედების დროა!	კონსტრუქციული ჯგუფური მუშაობა, სხვებისა და საკუთარი ნაშრომის პატივისცემა.	მოსწავლეები შერჩეულ პროექტებზე იწყებენ ჯგუფურ მუშაობას.

ეტაპი 3: გაგრძელება

აქტივობა 8 პროექტის პრეზენტაცია	კონსტრუქციული ჯგუფური მუშაობა; წყაროების მითითება; გამოყენებული ინფორმაციის საავტორო უფლების დაცვა; პლაგიატიზმის შესახებ ინფორმაციის მიღება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.	ჯგუფები კლასის წინაშე აკეთებენ პრეზენტაციას.
აქტივობა 9 რეფლექსია და შეფასება	გაზიარება, ერთმანეთის შეფასება, თვითშეფასება.	მოსწავლეები შესაბამისი მითითებების დაცვით აფასებენ ერთმანეთს და საკუთარ თავს.
აქტივობა 10 შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა	რეფლექსია და გაუმჯობესება; შემოქმედებითი აზროვნება და პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომა; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და საავტორო უფლების გამოყენება.	ჯგუფები გეგმავენ შემდგომ მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია სხვა გაკვეთილზე ან სკოლის შესაბამის კლუბში.



მოქალაქეობა და ინტელექტუალური საკუთრება

საავტორო უფლებები



საავტორო უფლების საკითხებზე მუშაობა

სასწავლო მასალების ინტერნეტში მოძიებისას გაითვალისწინეთ, რომ წყაროდ შეარჩიოთ ის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია არ არის დაცული საავტორო უფლებებით, რომლის გამოყენებაც დაშვებულია სწავლების მიზნით და რომელიც წარმოადგენს საზოგადო კუთვნილებას ან ფლობს ე.წ. Creative Commons-ის შესაბამის ლიცენზიას.

მოსწავლეების მიერ სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ჩატარებული ონლაინკვლევის დროს:

- დარწმუნდით, რომ ნამდვილად ადგენენ იმ ვებგვერდების სიას ადგენენ, რომლებიც ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენეს;
- მიაწოდეთ ინფორმაცია Creative Commons-ის გვერდისა და ლიცენზიების შესახებ: <https://creativecommons.org>;
- სურათების, ვიდეოებისა და მუსიკის მოსაძიებლად მიაწოდეთ ისეთი ვებგვერდების სია, რომლებიც საავტორო უფლებებით არ არის დაცული ან არის საზოგადო კუთვნილებაში;

მაგალითად, ფოტოებისთვის გამოიყენეთ შემდეგი ვებგვერდი: <https://pixabay.com>, <https://www.pics4learning.com>, მუსიკისთვის კი – <https://www.youtube.com/channel/UCht8qITGkBVXKsR1ByIn-wA>

იცით თუ არა, რომ...

- საავტორო უფლება ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი უფლებაა, რომელიც მასწავლებლებსაც ეხება.
- საავტორო უფლება იცავს ადამიანის ინტელექტუალური შრომის გამოხატულ, რეალიზებულ შედეგს და არა იდეას.
- საავტორო უფლების მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი: გამოჩენილი თუ დამწყები მხატვარი, აღიარებული თუ უცნობი ავტორი (ზოგი მათგანი შეიძლება მასწავლებელი ან მოსწავლეც კი იყოს).
- საავტორო უფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ორიგინალურ ნაწარმოებზე. ეს შეიძლება იყოს: რომანი, პიესა, პოეზია, მუსიკა, სიმღერა, ნახატი, ნახაზი, ქანდაკება, ფოტო, ფილმის სცენარი, კინოფილმი და ვიდეო, ქსოვილის დიზაინი, არქიტექტურული გეგმა, მონაცემთა ბაზები და კომპიუტერული პროგრამები.
- საავტორო უფლებების დასაცავად არ არის საჭირო რეგისტრაციის გავლა. ნამუშევარი მისი შექმნის მომენტიდან უკვე დაცულია.
- ევროკავშირში, ისევე როგორც საქართველოში, საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლის განმავლობაში და მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ 70 წელი.
- ნაწარმოების გამოყენება ავტორის ან ნაწარმოების მესაკუთრის თანხმობის გარეშე დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ:
 - პირადი მოხმარებისთვის იქმნება ნაწარმოების ასლი;
 - ნაწარმოებიდან ამოღებულია ციტატა მისი მიმოხილვის ან კრიტიკის მიზნით;
 - ნაწარმოებიდან ამოღებულია ამონარიდი მისი სწავლების პროცესში გამოყენების მიზნით.

მოქალაქეობა და ინტელექტუალური საკუთრება

სასაქონლო ნიშნები



სასაქონლო ნიშნის საკითხებზე მუშაობა

გაკვეთილების მსვლელობისას მოსწავლეები იმ ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო არასამთავრობო (NGOs) და სხვა ტიპის ორგანიზაციებს იკვლევენ, რომელთა საქმიანობაც მათ მიერ შერჩეულ საკითხს უკავშირდება. ერთ-ერთი დავალების თანახმად, მოსწავლეებმა ამ ორგანიზაციების ლოგოებიც უნდა მოიძიონ და გააანალიზონ.

გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და ესაუბრეთ მოსწავლეებს სასაქონლო ნიშნებისა და მათი დანიშნულების შესახებ; ასევე აუხსენით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი რეგისტრაცია. საკუთარ პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები თავიანთ ლოგოსაც შექმნიან. შემდეგ კი ლოგოს სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის გზებსაც გაეცნობიან და ამ მიდგომის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს განიხილავენ.

იცით თუ არა, რომ...

- სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო, რომელიც ერთი კომპანიის საქონელსა და მომსახურებას სხვა კომპანიების საქონლისა და მომსახურებებისგან განასხვავებს.
- სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვა, გამოსახულება, სიმბოლო ან ფორმა, სლოგანი, ფერი და ხმაც კი.
- სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ უფლებას წარმოადგენს, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს:
 - მათ მიერ წარმოებულ საქონელსა თუ შეთავაზებულ მომსახურებასთან დაკავშირონ თავიანთი მომხმარებლები;
 - გააუმჯობესონ მომხმარებლის ერთგულების ხარისხი და გაზარდონ ბრენდის ცნობადობა;
 - მკაფიოდ წარმოაჩინონ თავიანთი საქონელს/მომსახურებასა და კონკურენტების საქონელს/მომსახურებას შორის არსებული განსხვავებები.
- სასაქონლო ნიშნები:
 - კონკურენტებთან მიმართებით წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტი;
 - ცხადყოფს კომპანიის მიერ იმიჯსა და ბრენდში ჩადებულ ინვესტიციას;
 - კომპანიათა უმრავლესობა ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებს შორის სწორედ მას ანიჭებს უპირატესობას;
 - როგორც წესი, კომპანიის ყველაზე ღირებული აქტივია.
- სასაქონლო ნიშნების დაცვის მიზნით აუცილებელია მათი რეგისტრაცია, მაგალითად, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) მეშვეობით. საქართველოში სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტში ხორციელდება.

მოქალაქეობა და ინტელექტუალურისაკუთრება

პატენტი



პატენტის საკითხებზე მუშაობა

გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან იმ ინოვაციებსა და გამოგონებებს, რომლებიც ახალგაზრდების მიერ არის შექმნილი ადგილობრივი თუ გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად. ამასთანავე, ისინი მიიღებენ ინფორმაციას პატენტების არსებობისა და მათი დანიშნულების შესახებ.

გააცანით მოსწავლეებს, როგორ ცვლიან გამომგონებლები სამყაროს უკეთესობისკენ. მათ უნდა გაიაზრონ ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობა და გააცნობიერონ, რომ ის შემოქმედებითობის, ინოვაციებისა და მეწარმეობის წახალისების საუკეთესო საშუალებაა.

იცი თუ არა, რომ...

- პატენტი გამომგონებლისთვის გამოგონების დაცვის საშუალებას წარმოადგენს.
- გამოგონება შეიძლება იყოს პროდუქტი ან პროცესი, რომელიც გადაწყვეტს კონკრეტულ ტექნოლოგიურ პრობლემას, შედეგად კი ცხოვრება შესამჩნევად მარტივდება ან უმჯობესდება.
- პატენტი იცავს არა პროდუქტს, როგორც ასეთს, არამედ ინოვაციის სხვადასხვა ნაბიჯს.
- პატენტი იცავს გამომგონებლის მიერ შექმნილ კონკრეტულ ტექნოლოგიას და გაუმჯობესებებს და ამ გზით მესამე პირისთვის პატენტფლობებლის ნებართვის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენებისთვის მიუწვდომელს ხდის მას. ამიტომ პატენტის მოქმედების ვადა შეზღუდულია;
- ევროპის პატენტის მოქმედების მაქსიმალური ვადა განაცხადის შეტანიდან 20 წელს შეადგენს;
- ევროპაში პატენტის მოსაპოვებლად აუცილებელია შემდეგი სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილება:
 - სიახლე – იგი ადრე არცერთი ფორმით არ ყოფილა ცნობილი საზოგადოებისთვის;
 - საგამომგონებლო დონე–გამოგონება ერთი საფეხურით მაინც უნდა აღემატებოდეს იმას, რაც უკვე არსებობს;
 - სამრეწველო გამოყენებადობა – შესაძლებელი უნდა იყოს მისი ინდუსტრიული მასშტაბით წარმოება ან გამოყენება.
- დაცვის მისაღებად საჭიროა მოხდეს პატენტის გაცემა. აღნიშნულის გაკეთება კი ევროპის საპატენტო უწყებაში არის შესაძლებელი.
- საპატენტო განაცხადში კომპანიებმა დეტალურად უნდა აღწერონ თავიანთი გამოგონება და მისი საიდუმლოებაც გაამჟღავნონ.
- რიგ შემთხვევებში საკუთარი გამოგონების დაცვის მიზნით არაერთი კომპანია ანიჭებს უპირატესობას ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებებს, მაგალითად, კომერციულ საიდუმლოებას, მაშინაც კი, როცა მათი გამოგონების დაცვა პატენტით არის შესაძლებელი. მაგალითად, „კოკა-კოლას“ არასოდეს დაუპატენტებია თავისი პროდუქტის ფორმულა, რადგან ამგვარად თავიდან აირიდა პროდუქტის საიდუმლო რეცეპტის გამჟღავნების რისკი.

მოქალაქეობა და ინტელექტუალური საკუთრება

დიზაინი



დიზაინის საკითხებზე მუშაობა

მოსწავლეები გაკვეთილების მსვლელობისას გაეცნობიან ახალგაზრდების მიერ შექმნილ იმ პროექტებს, რომლებიც უკეთესობისკენ ცვლიან სამყაროს. ამ პროექტების ნაწილი სხვადასხვა სახის დიზაინის შექმნასაც გულისხმობს, რაც პრობლემის გადაჭრას ან ფინანსური სახსრების მოზიდვას ისახავს მიზნად. გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და მოსწავლეებს მიაწოდეთ ინფორმაცია დიზაინის არსებობის, მისი მიზნისა და რეგისტრაციის თაობაზე.

შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი პროექტის ფარგლებში რაიმე დიზაინის შექმნა მოისურვონ. ამ შემთხვევაში შემაჯამებელ ეტაპზე გამოჰკითხეთ, თუ როგორ დაარეგისტრირებდნენ მათ მიერ შექმნილ დიზაინს და რა უპირატესობები ან ნაკლოვანებები ექნებოდა ამ არჩევანს.

იცით თუ არა, რომ...

- დიზაინი ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი უფლებაა, რომელიც პროდუქტის გარეგნულ მხარეს იცავს. ამგვარი პროდუქტი შეიძლება, იყოს:
 - ინდუსტრიული ან ხელნაკეთი ნივთები;
 - შეფუთვა;
 - გრაფიკული სიმბოლოები;
 - ნახატები ან ხელოვნების ნიმუშები.
- დიზაინი, როგორც წესი, ხასიათდება:
 - შემოქმედებითობით;
 - მომხმარებელთათვის მიმზიდველობით;
 - პროდუქტის გაყიდვების ზრდის შესაძლებლობით.
- პროდუქტის დიზაინის დაცვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთდროულად სრულდება შემდეგი ორი პირობა:
 - წარმოადგენს სიახლეს და
 - ხასიათდება ისეთი ინდივიდუალიზმით, რომელიც მას არსებული დიზაინისგან განასხვავებს.
- იმისათვის, რომ დიზაინი სრულად დაცული იყოს, აუცილებელია მისი დარეგისტრირება. ევროპის ქვეყნებში დიზაინის ავტომატური დაცვის საშუალებებიც არსებობს. თქვენი დიზაინის დარეგისტრირება შეგიძლიათ, მაგალითად, ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის (EUIPO) მეშვეობით. საქართველოში, დიზაინის რეგისტრაცია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტში ხორციელდება.

მეთოდური რეკომენდაციები

უტაპი 1 – კავშირების დამყარება

აქტივობა 1 – იპოვეთ ის, ვინც...

მიზანი: მოსწავლეები უკეთ ეცნობიან ერთმანეთს და აცნობიერებენ მსოფლიოს გლობალურ ხასიათს.

მასალა: სამუშაო ფურცელი – იპოვეთ ის, ვინც... (გვ. 17)

ადგილობრივი რეალობისა და კლასის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსწავლეებს აქტივობაში ცლილებების შეტანაც შეუძლიათ.

აღწერა:

- თითოეული მოსწავლე ასრულებს დავალებას. ისინი ერთმანეთს უსვამენ დავალების გვერდზე მოცემულ შეკითხვებს და შესაბამის ველში წერენ იმ თანაკლასელთა სახელებს, რომლებსაც ესა თუ ის აქტივობა აქვთ შესრულებული. დავალება დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც რომელიმე მოსწავლე ყველა ველს შეავსებს.
- დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ რა სიახლე აღმოაჩინეს ამ აქტივობის დროს. მთავარი აქცენტი იმაზე გააქეთ, რომ სამყაროში ყველანი ერთმანეთთან დაკავშირებული ვართ.

დისტანციური სწავლების შემთხვევაში მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას:

აქტიურად დავალება კლასის გაზიარებულ მასალებში. მოსწავლეები მას ასინქრონულად შეასრულებენ. შემდეგ მოაწყვეთ ონლაინსესია და განიხილეთ შედეგები.

ან შეგიძლიათ, რომ ონლაინგაკვეთილის ჩატარების დროს კლასი ჯგუფებად დაყოთ. ამგვარად მოსწავლეები ერთმანეთისაგან ინტერვიუს აღებასა და დავალების სრულყოფილად შესრულებას შეძლებენ.

აქტივობა 2 – გამოწვევების თოკი

მიზანი: გლობალურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკვანძო გამოწვევების გაცნობა. მოსწავლეების წახალისება, რომ სხვადასხვა საკითხზე თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იმსჯელონ, იფიქრონ და ერთმანეთის შეხედულებები კონსტრუქციულად მოისმინონ.

მასალა: სამუშაო ფურცელი – წინადადებები (გვ. 18)

გამოიყენეთ გრძელი თოკი ან თასმა, ასევე „დიახ/არა“ ბარათები.

აღწერა:

- საკლასო ოთახში სიგრძეზე გააბით თოკი ან გრძელი თასმა და დაბოლოებებში დაამაგრეთ თანხმობისა და უარყოფის ბარათები; წაიკითხეთ ის წინადადება, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კლასის რეალობას;
- მოსწავლეები თავიანთი პოზიციის მიხედვით იცვლიან ადგილს თოკზე. განუმარტეთ, რომ ამ დავალებაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ თავიანთი პოზიცია რამდენიმე სიტყვით ახსნან. მას შემდეგ, რაც ყველა მსურველი თავის აზრს გამოთქვამს, ჰკითხეთ, ხომ არ გადაწყვიტეს თოკზე ადგილის შეცვლა (მაგ., იმ შემთხვევაში, თუ მოსაზრებას შეიცვლიან).
- იმავე მეთოდს მიმართეთ სხვა წინადადების წაკითხვისას, რომელსაც თქვენი სურვილის მიხედვით ან კლასის სპეციფიკიდან გამომდინარე შეარჩევთ.

დისტანციური სწავლების შემთხვევაში მიჰყევით ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციას:

ჯგუფური ონლაინსესია: მოსწავლეები თანხმობის ილუსტრირებას გაზიარებულ დაფაზე თოკის გამოყენებით ახერხებენ.

აქტივობა 3 - მოლაპარაკე სურათები

მიზანი: ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე არსებული საკვანძო გამოწვევების მოძიება და მათი ვიზუალიზაცია;

ინტელექტუალური საკუთრების ბმულები: ინტერნეტში მოპოვებული მასალების საკუთრების უფლებების დაცვა/პატივისცემა და ე.წ. Creative Commons-ის ლიცენზიის მქონე ფოტოების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

მასალები: მიმდინარე გამოწვევების ამსახველი ფოტო (იხ. ქვემოთ მოცემული შენიშვნა ფოტოების წყაროებთან დაკავშირებით); ფოტოების გადასაღებად დაგჭირდებათ მობილური ტელეფონები ან ტაბლეტები/პლანშეტები; პრეზენტაციისთვის გამოიყენეთ ლეპტოპი ან პლანშეტი.

აღწერა

ნაბიჯი 1:

- აქტივობა დაიწყეთ მიმდინარე რელევანტური გამოწვევის ამსახველი ფოტოს ჩვენებით. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ფოტოს კრიტიკულად და შემოქმედებითად მიუდგნენ და გამოარკვიონ, თუ რა ხდება ფოტოს მიღმა, რა ხდებოდა ფოტოს გადაღებამდე და გადაღების შემდეგ.

საორიენტაციო შეკითხვები:

სად არის ფოტო გადაღებული? რატომ ფიქრობთ ასე?

რა ხდება ფოტოს მიღმა? რა მინიშნება გაქვთ?

როგორ გაგრძელდებოდა ფოტოზე ასახული მომენტი? რატომ ფიქრობთ ასე?

- მოსწავლეებს შეუძლიათ, რომ ფოტო დიდი ფურცლის შუაში მოათავსონ და დახატონ მისი ერთგვარი გაგრძელება – ის, რაც მათი აზრით, კადრს მიღმა ხდება.
- შემდეგ კი ქმნიან პოსტერს, რომელზეც გაიწერება ფოტოსთან დაკავშირებული კითხვები.
- პოსტერების დათვალიერება და შემდგომი განხილვის მოწყობა.

ნაბიჯი 2:

- იმისათვის, რომ წარმოაჩინონ, თუ რისი შეცვლა სურთ ყველაზე მეტად, მოსწავლეები იღებენ (ან მოიძიებენ) სამ ფოტოს. ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს:

პირად ცხოვრებას;

1) სკოლის რეალობას;

2) ადგილობრივ გარემოს.

- მოსწავლეები კლასის წინაშე წარსადგენად ამზადებენ პრეზენტაციას და განიხილავენ შერჩეულ საკითხს.
- მოსწავლეები ჯგუფებში ნაწილდებიან და ირჩევენ პროექტის იმ სამიზნე გამოწვევას, რომელიც ყველაზე მეტად სურთ, რომ შეცვალონ.

ფოტოზე სამუშაოდ გააზიარეთ ეკრანი და გამოიყენეთ ციფრული დაფა (მაგ., ე.წ. Jamboard).

ონლაინსესია: მოსწავლეები ფოტოებისა და გამოწვევების წარსადგენად აზიარებენ ეკრანს. თუ ონლაინსესია არ ტარდება, მოსწავლეები ფოტოებს ატვირთავენ საერთო შეტყობინებების დაფაზე (მაგ., Padlet-ზე).

ხმის მიცემა და ჯგუფებში განაწილება ონლაინგამოკითხვის საშუალებით (მაგ., Survey monkey).

IP ბმულები

ფოტოები და საავტორო უფლება

გამოიყენეთ ისეთი ფოტოები, რომლებიც საჯარო კუთვნილებამია ან ე.წ. Creative Commons-ის ლიცენზია აქვთ: <https://creativecommons.org>

მოსწავლეები იმ ფოტოებზე, რომლებსაც თავად იღებენ და პრეზენტაციაში იყენებენ, საავტორო უფლების ნიშანსა (©) და საკუთარ სახელს მიუთითებენ.


აქტივობა 4 - კითხვების რუკა

მიზანი: საკვანძო პრობლემათა მიზეზების, შედეგებისა და მოგვარების შესაძლო გზების ძიება; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

აღწერა:

გამოიყენეთ მე-3 აქტივობაში წარმოდგენილი ფოტოს მეშვეობით აღწერილი პრობლემა, რათა კლასთან ერთად კითხვების რუკა შეადგინოთ. მაგალითი იხილეთ ქვემოთ.

- როდესაც რუკაზე საკმარისზე მეტი კითხვა აღმოჩნდება, ჩახედეთ თითოეული სვეტის ბოლო შეკითხვას და განიხილეთ, რამდენად სამართლიანია იგი? როგორ შეიძლება ამ მოცემულობის შეცვლა?
- მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ მათ მიერ შერჩეული გამოწვევის შესახებ კითხვების რუკის შედგენაზე.



ეტაპი 2 - აქტიური მოქალაქე

აქტივობა 5 - სამყაროს ამბები

მიზანი: გლობალური ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღება და მოქმედებისკენ ბიძგი.

ცნობიერების ამაღლება იმის თაობაზე, რომ იდეებს სამყაროს შეცვლა შეუძლია.

IP ბმულები: ონლაინწყაროები; სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლაში ინიციატივებისა და გამოგონებების როლის გაზრდა; ინფორმაციის მიღება იმასთან დაკავშირებით, რომ პატენტებს გამოგონებების დაცვა შეუძლია.

მასალები: ინტერნეტწყაროების ბმულები.

აღწერა:

- აჩვენეთ მოსწავლეებს ვიდეო, მოასმენინეთ პოდკასტი (აუდიოფაილი) ან წაუკითხეთ იმ ახალგაზრდის ან ახალგაზრდების შესახებ, რომლებმაც შეცვალეს სამყარო (მაგალითისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული წყაროები);
- თითოეული ისტორიის განხილვისას იკითხეთ: რა შეცვალეს მათ? როგორ მოახერხეს ამ ცვლილების გამოწვევა?
- ასევე შეგიძლიათ თავად მოსწავლეებს დაავალოთ ახალგაზრდებისა და მათი მიღწევების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მოკლე პრეზენტაციის მომზადება.
- შერჩეული ისტორიის/ისტორიების მეშვეობით გააცანით მოსწავლეებს ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი უფლებები (პატენტი, სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები და დიზაინი).

წყაროები

შესავლის ნაწილში რეკომენდირებულია გაეროს ბავშვთა ფონდის ანიმაციური ვიდეოს ჩვენება სახელწოდებით – მსოფლიოს უდიდესი გაკვეთილი.

ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა (წიგნი და ფილმი).

ბავშვები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს. მარსია უილიამსი. გამომცემლობა Walker Books (2019).

TEDxTalks

ბავშვთა სამყარო – ახალგაზრდების ჯილდო (World of Children Youth Award)

ე.წ. Jugend Forscht – ახალგაზრდების სამეცნიერო კონკურსი

Inventos Sorprendentes Creados por Ninos

IP ბმულები

სასაქონლო ნიშნები და საავტორო უფლებები

მოსწავლეებს არასამთავრობო ორგანიზაციების ლოგოების გამოყენებით გააცანით ინფორმაცია სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის შესახებ და ახსენით, თუ რატომ მიმართავენ ორგანიზაციები ამ გზას მათ დასაცავად.

როდესაც მოსწავლეები ლოგოს დიზაინზე დაიწყებენ მუშაობას, სთხოვეთ, რომ შექმნან ორიგინალური ვერსია და დაუმატონ ნიშანი ©.

აქტივობა 6 - ონლაინმედიები

მიზანი: მოსწავლეები ატარებენ ონლაინკვლევას და აკეთებენ ლოგოს დიზაინს.

IP ბმულები: სასაქონლო ნიშნებისა და საავტორო უფლებების გაცნობა.

მასალა: სამუშაო ფურცელი (გვ. 19).

დავალების შინაარსის შეცვლა მოსწავლეებს კლასი-სა და ადგილობრივი გარემოს კონტექსტის გათვალისწინებით შეუძლიათ.

აღწერა:

- მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ შესაბამისი დავალების შესასრულებლად.
- ჯგუფებად გადანაწილებული მოსწავლეები თავიანთი პროექტისთვის არჩევენ სახელს და ლოგოს დიზაინს. შესაძლოა სლოგანიც კი მოიფიქრონ. თავიანთი სამუშაო სივრცისთვის აკეთებენ პოსტერს ან ალამს, რომელზეც დატანილია მათი ჯგუფის სახელი და ლოგო.

სამუშაო ფურცელი კლასის გაზიარებული მასალების ფოლდერში ატვირთეთ. მოსწავლეები დავალებას სხვადასხვა დროს შეასრულებენ. მასზე უკუკავშირი ონლაინსესიაზე შეგიძლიათ.

IP ბმულები

მასალები და საავტორო უფლება

მიუთითეთ აქტივობაში გამოყენებული მასალებისა და ფოტოს/ვიდეოს წყაროები და იმავს გაკეთება სთხოვეთ მოსწავლეებსაც.

პატენტი

მოსწავლეებს გააცანით რაიმე ისტორია გამოგონებაზე, რათა წარმოდგენა შეექმნათ პატენტზე, როგორც გამოგონების დაცვის მექანიზმზე, ასევე იმ მოტივებზე, თუ რატომ აკეთებენ ან არ აკეთებენ მის სასარგებლოდ არჩევანს გამომგონებლები.

დიზაინი და სასაქონლო ნიშნები

მოსწავლეებს უამბეთ ისტორიები იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც შექმნეს დიზაინი, ლოგო ან სლოგანი და განუმარტეთ მათი და სასაქონლო ნიშნების მნიშვნელობა.

აქტივობა 7.1 - სამოქმედო გეგმა

მიზანი: ჯგუფებში კონსტრუქციული მუშაობა პრობლემის გადაჭრის უნარის გაუმჯობესების მიზნით; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.

მასალა: სამუშაო ფურცელი – სამოქმედო ბარათები (გვ. 20).

აღწერა:

ნაბიჯი 1

- მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ პროექტის ძირითადი კითხვების შედგენაზე და შემდეგ უკვე თავადვე უპასუხებენ მათ. კითხვები შეიძლება ასე ფორმულირდეს: რისი შეცვლა გსურთ? რა გსურთ, რომ მოხდეს?

ნაბიჯი 2

- მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ სამოქმედო ბარათებზე. იღებენ სამოქმედო გეგმისთვის განიხილავენ და წერენ ბარათებზე, შემდეგ კი პირამიდას აკეთებენ, რომლის თავშიც საუკეთესო იდეა მოქცეული. სხვა მოსაზრებებს წერენ ცარიელ ბარათებზე.
- ამ ეტაპზე თითოეულ ჯგუფს განუმარტეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია განსაზღვრონ წარმატების კრიტერიუმები, ანუ რის მიხედვით შეაფასებენ, პროექტი წარმატებით განხორციელდა თუ არა (მაგ., რამდენმა ადამიანმა მოაწერა მათს პეტიციას ხელი, რა თანხის შეგროვება შეძლეს, რამდენი ადამიანი შეჰპირდათ, რომ მავნე ჩვევებსა თუ ქცევებს გადაეჩვიოდნენ და ა.შ.). აღნიშნულ საკითხს მე-10 აქტივობაშიც უბრუნდებიან.

ონლაინსესია: მოსწავლეები ჯგუფებად ნაწილდებიან და სამოქმედო ბარათების შექმნაზე მუშაობენ. ასინქრონული: ჯგუფები მუშაობენ საერთო სამოქმედო გეგმის შექმნაზე (მაგ., Google docs).

ნაბიჯი 3

- ჯგუფები სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მუშაობენ, ადგენენ პირამიდას, რომლის თავშიც საუკეთესო იდეაა მოქცეული;
- მოსწავლეები საბოლოო სახეს აძლევენ სამოქმედო გეგმას, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერენ და ასევე შეადგენენ საჭირო რესურსების სიას.
- მოსწავლეები ჩამოწერენ პროექტის ფარგლებში შესასრულებელ ამოცანებს და განსაზღვრავენ თითოეულ ამოცანაზე (მაგ., კვლევა, ფოტოების გადაღება, დახატვა და ა.შ.) პასუხისმგებელ პირს.

აქტივობა 7.2 - მოქმედების დროა!

მიზანი: მოსწავლეები პროექტის ფარგლებში შემუშავებული გეგმების განხორციელებას იწყებენ. ისინი ჯგუფურად მუშაობენ და სამუშაო პროცესში იყენებენ კონსტრუქციულ მიდგომას, რათა ისწავლონ საკუთარი და სხვათა შრომის პატივისცემა. გარდა ამისა, განივითარონ პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარები.

IP ბმულები: საავტორო უფლებების დაცვა: წყაროს მითითება.

მასალა: მოსწავლეებს კვლევის ჩასატარებლად სჭირდებათ წვდომა ინტერნეტსა და პლანშეტებზე/ლეპტოპებზე.

აღწერა:

- მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ და თავიანთი სამოქმედო გეგმის განხორციელებას იწყებენ. ამ ეტაპზე შესაძლოა დაგჭირდეთ მათთან ერთად მუშაობა გაკვეთილების შემდეგ ან შაბათ-კვირას.
- მკაფიოდ განუმარტეთ, რომ არ დაავიწყდეთ ინფორმაციის წყაროს მითითება. მიეცით რჩევა, რომ გამოიყენონ ის ფოტოები თუ სხვა მასალები, რომლებიც არ არის დაცული საავტორო უფლებებით.
- ამ ეტაპზე სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ ინტერნეტში ისეთი ადამიანები ან ორგანიზაციები მოიძიონ, რომლებიც მათ მიერ შერჩეული პრობლემის მსგავს გამოწვევაზე მუშაობენ. წახალისეთ, რომ მოძიებული განსხვავებული იდეები შთაგონებად გამოიყენონ, თუმცა მიუთითეთ, რომ იდეების მითვისება დაუშვებელია. ინოვაცია უკვე არსებულის სხვადასხვა გზით გაუმჯობესებას გულისხმობს.

IP ბმულები

საავტორო უფლებები

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ იმ ვებგვერდების სია შექმნან, რომლებსაც ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებენ, რათა შემდგომ სწორად შეძლონ წყაროს მითითება. თუ ინტერნეტიდან ფოტოების ან სხვა მსგავსი მასალის მოძიება სურთ, დარწმუნდით, რომ ისეთ წყაროებს იყენებენ, რომლებიც საზოგადოებრივ საკუთრებაშია ან რომლებსაც Creative Commons-ის ლიცენზია აქვთ: <https://creativecommons.org>.



ეტაპი 3 - გაგრძელება

აქტივობა 8 - პროექტის პრეზენტაცია

მიზანი: პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, საკუთარი და სხვისი შრომის პატივისცემის სწავლა.

IP ბმულები: საავტორო უფლებების დაცვა, გამოყენებული წყაროს მითითება, საავტორო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

აღწერა:

- მოსწავლეები მოამზადებენ პრეზენტაციას თავიანთი პროექტის შესახებ და წარუდგენენ თანაკლასელებს ან სკოლის სხვა ჯგუფებს. აღნიშნული აქტივობის განხორციელებისას შეგიძლიათ ბავშვები წრეზე დასხათ, რათა ასე წარმოადგინონ თავიანთი პროექტი; შესაძლებელია ჯგუფებად დაყოფილმა კლასმა რამდენიმე წინადადებით ახსნას საკუთარი პრეზენტაციის არსი ე.წ. „ლიფტის პრეზენტაციის“ ტექნიკით ან მთელ კლასს დაავალოთ მასზე მუშაობა.
- მოსწავლეები, რომლებიც პრეზენტაციას არ აკეთებენ, წახალისეთ, რომ დასვან შეკითხვები და გააზიარონ უკუკავშირი.
- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას იგრძნობდნენ, ვინმეს რომ მიეთვისებინა მათი პროექტი. დისკუსიის შემდეგ მიაწოდეთ ინფორმაცია პლაგიატიზმის შესახებ და აუხსენით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა და პატივისცემა.
- განიხილეთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პროექტების დაცვის მექანიზმი. ისაუბრეთ, თუ რატომ არ სურს ზოგ ადამიანს ან ორგანიზაციას საკუთარი ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგის დაცვა, რომ მათი ნამუშევრები სხვებმაც გამოიყენონ, რითაც შეიძლება უფრო ფართო და მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინონ.

IP ბმულები

საავტორო უფლებები

თუ მოსწავლეებმა თავად შექმნეს პოსტერები, სიმღერები, ვიდეოები და ა.შ., მაშინ თითოეული მათგანი საავტორო უფლებით არის დაცული.

პატენტი

თუ რომელიმე ჯგუფმა პროექტის ფარგლებში გამოგონების განხორციელება გადაწყვიტა, განიხილეთ, რამდენად შეიძლება მათი დაპატენტება პატენტუნარიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ლიზენზია

თუ რომელიმე ჯგუფმა პროექტის ფარგლებში შექმნა რაიმე სახის ლიზენზია, განიხილეთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი მათი ლიზენზიით დაცვა და რამდენად მნიშვნელოვანია იგი.

აქტივობა 9 - რეფლექსია და შეფასება

მიზანი: მოსწავლემ მეწყვილის შეფასებისა და თვითშეფასების საფუძველზე გაიაზროს, რის გაუმჯობესებაზე უნდა იმუშაოს და როგორ არის ეს შესაძლებელი.

აღწერა:

- სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ შეაფასონ ერთმანეთის ნაშრომის დადებითი მხარეები და აღნიშნონ, რა მოეწონათ ამა თუ იმ პროექტში. მხოლოდ ამის შემდეგ შესთავაზონ ერთმანეთს, რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ წარდგენილი პროექტებიდან ერთ-ერთი კლასის პროექტად შეარჩიონ, რომელზეც დარჩენილი სასწავლო წლის განმავლობაში იმუშავენ.

აქტივობა 10 - სამომავლო ნაბიჯები

მიზანი: შემოქმედებითი აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარება.

IP ბმულები: ინტელექტუალური საკუთრების დაცვა; საავტორო უფლების ფლობა.

აღწერა:

- კლასმა გაერთიანებული ძალებით უნდა დაიწყოს იმ შერჩეული პროექტის სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში განახორციელებს. მოსწავლეები თითოეული თვისთვის შეიმუშავენ მიზნებს და განსაზღვრავენ შესასრულებელ აქტივობებს.
- განიხილეთ, როგორ დაიცავენ თავიანთი პროექტზე ინტელექტუალურ საკუთრებას, თუ გადაწყვეტენ, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ იგი და ინტერნეტში განათავსონ.

სამუშაო ფურცლები

აქტივობა 1: იპოვეთ ის, ვინც...

გამოტოვებულ ადგილას ჩასვით თქვენი კლასელების სახელები.	მიუთითეთ დეტალები
..... ამ კვირაში თავის ბოსტანში მოყვანილი პროდუქტი მიირთვა.	
..... ურჩევნია იმის ჩაცმა, რაც საქართველოში არ არის დამზადებული.	
..... ოთახიდან გასვლისას ყოველთვის აქრობს შუქს.	
..... ამ კვირაში მიირთვა სხვა ქვეყნის სამზარეულოს კერძი.	
..... ინტერნეტით ურთიერთობს უცხოელებთან.	
..... შეუძლია სიმღერა უცხოურ ენაზე.	
..... შეუძლია დაასახელოს სხვა ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია.	
..... ცდილობს, რომ სახლში წყალი რაციონალურად მოიხმაროს.	
..... შეუძლია დაასახელოს ის სპორტული აქტივობა, რომელსაც მის ქვეყანაში არ მისდევენ, თუმცა სხვა ქვეყანაში თამაშობენ.	
..... შეუძლია დაასახელოს ისეთი რამ, რაც ჯუნგლებში გვხვდება.	

აქტივობა 2: გამოწვევების თოკი

- გარემოს ვუფრთხილდები და რესურსებს არ ვფლანგავ.
- მსურს, რომ მეტი რამ გავიგო სხვა ქვეყნების შესახებ.
- ვიცი, რა არის სამართლიანი და უსამართლო, ამიტომ სულ ვცდილობ, რომ სწორად მოვიქცე.
- მსურს, რომ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ხალხს დაუშვებოდნენ.
- მიმაჩნია, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია.
- ვცდილობ, რომ სხვა ადამიანების მდგომარეობაში შევიდე.
- როცა ვინმეს ჩემგან განსხვავებული მოსაზრება აქვს, ვცდილობ ყურადღებით მოვუსმინო.
- მაქვს ჩემი მოსაზრებები და იდეები, თუმცა ვიცვლი მათ მაშინ, თუ მივხვდი, რომ ვცდები.
- ვცდილობ, რომ სხვების მიმართ სიკეთე გამოვიჩინო, დავეხმარო და არ ვეჩხუბო.
- მყავს როგორც გოგო, ისე ბიჭი მეგობრები.
- სხვისი ნივთების გამოყენებამდე ჯერ ნებართვას ვიღებ.
- ინტერნეტში გავრცელებული სიმღერები, ფოტოები და ვიდეოები ყველას ეკუთვნის.
- გამოგონებების საშუალებით ადამიანების ცხოვრება მარტივდება და უმჯობესდება.
- ვფიქრობ, რომ ჭკვიანურია, ფულის დასაზოგად ძვირადღირებული ნივთების ასლები შეიძინო.
- მსურს, რომ ჩემი ქმედებით სამყარო უკეთეს ადგილად ვაქციო.

აქტივობა 6 - ონლაინმედიები

მოიძიეთ ინფორმაცია ორგანიზაციების შესახებ და მოაგროვეთ მათი ლოგოები. ჩაინიშნეთ, თუ რა საკითხებზე მუშაობენ აღნიშნული ორგანიზაციები. დააკვირდით ლოგოებს. რას გამოხატავენ ისინი? რატომ ფიქრობთ ასე?

ორგანიზაცია და ლოგო	მოქმედების არეალი/გამოწვევები	ლოგოს მნიშვნელობა
გაეროს ბავშვთა ფონდი		
გრინფისი (Greenpeace)		
ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF)		

აქტივობა 7 - სამოქმედო ბარათები

დაწერეთ წერილი/ელექტრონული წერილი.	დააფიქსირეთ აზრი/პოზიცია.
ხალხის ინფორმირებისთვის გამოიყენეთ სოციალური მედია.	შექმენით ბროშურა ან პოსტერი.
მოაწყვეთ ფულადი სახსრების მოზიდვის კამპანია.	გადაიდეთ ვიდეო.
წამოიწყეთ პეტიცია.	ადგილობრივი რადიო ან სატელევიზიო არხისთვის შეადგინეთ მცირე პროგრამა.
გამოიგონეთ რამე ან შექმენით ახალი ღიზიანი.	გააკეთეთ პრეზენტაცია.
დაწერეთ სიმღერა.	